

## ლია ლევავა

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის  
ნორმალიზაციის ისტორიიდან  
(სალიტერატურო ენის ნორმათა  
დამდგენი კომისიები)

ბევრი ჩამ თქმულა იმის შესახებ, თუ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული სალიტერატურო ენა XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, და იმის შესახებაც, თუ ერთი საუკუნის შემდეგ, ურთულეს პოლიტიკურ პირობებში, როგორ იბრძოდა XIX საუკუნის ქართველი ინტელიგენცია გშობლიური ენის წართმეული უფლებების დასაბრუნებლად, მის დასახვეწად, მონოლითურობის აღსაღენად. ეს მძიმე პროცესი დიდხანს გაგრძელდა. ქართული ენათმეცნიერული აზრი ეძიებდა გზებს, საშუალებებს, ნაბიჯ-ნაბიჯ მიწევდა წინ და დიდი ძიებისა და ძალისხმევის შედევრად ეს გზაც გამოჩნდა: XX ს-ის 20-30-იან წლებში ასეთი გამოსავალი მოინახა: მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ სპეციალისტთა საერთო ძალებით განხილულიყო სალიტერატურო ენაში არსებული სადაც საკითხები და დადგენილიყო მისაღები, მართებული ფორმები, როგორც ნორმები სალიტერატურო ენისა. მეტიც, ე.წ. კულტურულ რევოლუციისთან დაკავშირებით 30-იან წლებში სალიტერატურო ენის მართებული გზით განვითარება სახელმწიფო საქმედ იქნა აღიარებული.

1935 წელს შეიქმნა და დღემდე მუშაობს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი სახელმწიფო კომისია (ამჟამად — საქართველოს პრეზიდენტთან არსებუ-

ლი სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის სახით), სადაც ხდებოდა (და ხდება დღესაც) ენობრივ ნორმათა განხილვა და დამტკიცება.

წინამდებარე წერილში ჩვენ შევეცადეთ ოვალი გაგვედევნებინა მთელი ამ პროცესისათვის: რა უძლოდა წინ ნორმათა დამდგენი კომისიის შექმნას, როგორ გაჩნდა და დაიხვეწა იდეა ასეთი კომისიისა და როგორ შემზადდა საამისო ნიადაგი; ვეცადეთ მოკლედ აღვენებული ის ფაქტები, რომელთაც საძირკველი ჩაუყარეს ნორმათა კომისიის შექმნას, — იქნებოდა ეს მცირე წრეები, სხვადასხვა საზოგადოება (მაგ., ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება, საენათმეცნიერო საზოგადოება...), სხვადასხვა ღონის სატერმინოლოგიო კომისია-კომიტეტები, მწერალთა ყრილობები თუ ცალკეულ პირთა ცდა და მონდომება...; დასასრულ, მოთხრობილია, თუ როგორ შეიქმნა და მოლგაწეობს ეს კომისია მთელი ამ ხნის მანძილზე, როგორია მისი მიზნები და ამოცანები. ამასთანავე, მოკლედ აღწერილია ისიც, თუ როგორ გათართოვდა ამ კომისიის მუშაობის შედეგად (რა თქმა უნდა, დიდი საზოგადოებრივი ძერების ფონზე) თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციები და მისი მოქმედების არე...

\* \* \*

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხი მთელი სიმწვავით დაისვა XIX ს. შუა წლებში. უურნალ „ცისკარში“ გამოითქვა ზოგი მოსაზრება ისეთ პრობლემურ საკითხთა შესახებ, როგორიცაა: სამი ენის (თუ სტილის) ნაცვლად ერთი ენის აუცილებლობა (ლ. არდაზიანი, ივ. კერესელიძე, დიმ. ყიფიანი, პლ. იოსელიანი), ამ ენის დაახლოება ხალხის სასაუბრო ენასთან (ალ. ორბელიანი, დიმ. ბაქრაძე, ლ. არდაზიანი), სალიტერატურო ენის დახვეწა (ი. ლორთქიფანიძე, ლ. არდაზიანი)... ეს იყო საღი, პროგრესული, მაგრამ ძნელად განსახორციელებელი აზრები. მათი და ზოგი სხვა პრობლემისათვის ზრუნვა და ბრძოლა ახალ თაობას ხვდა წილად.

ცნობილია, რომ 60-იანი წლების დამდეგს საქართველოში ახლად დაბრუნებულმა „ორგანულებულება“ თავის უპირველეს მიზნად დაისახეს დამოუკიდებლობის დაბრუნება სამშობლოსა-

თვის და იმთავითვე გააჩალეს ბრძოლა ეროვნული თვითმყოფობისათვის. ამ ბრძოლაში ერთ-ერთი უპირველესი პრობლემა იყო ეროვნული ენის საკითხი, რაც გულისხმობდა თავის უფლებებში აღდგენას ქართული ენისას, რომელიც ცარიზმის გამარტისებელი პოლიტიკის შედეგად უფლებააყრილი და დაძაბუნებული იყო, უცხოენოვანი მასალის მოძალებით, არქაიზმებით, დიალექტიზმებით, ბარბარიზმებით აქრელებული და დამძიმებული. უნდა აღდგენილიყო და დამკვიდრებულიყო ერთი და ერთიანი, დახვეწილი, შევსებულ-გამდიდრებული სალიტერატურო ენა, გაფართოებულიყო მისი მოქმედების ასპარეზი.

ამ ურთულესი ამოცანის გადასაჭრელად დიდი ძალისხმევა დისპირიდა ახალი თაობის მეთაურს ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც გამოარჩევდა არა მარტო სხვათაგან ძლიერი ინტელექტი, ფართო განათლება, უდიდესი პატრიოტიზმი და პრინციპულობა, არამედ აგრეთვე ამ საქმისათვის ეგზომ აუცილებელი „უდიდესი მოქალაქეობრივი გამბედაობა და დემოკრატიული რადიკალიზმი“ (არნ. ჩიქობავა). მან ჭერ კიდევ პეტერბურგიდან გამოგზავნილ ცნობილ წერილში რევაზ ერისთავის მიერ შესრულებული თარგმანის შესახებ შეძლო წამოეყენებინა და დაეცვა ერთი, ხალხის მეტველებასთან დაახლოებული სალიტერატურო ენის იდეა და პრიტიკულად გადაეჭრა ქართული ანბანის გამარტივების პრობლემაც, რომელიც დავით ჩუბინაშვილმა წამოაყენა თავის ქართულ-რუსულ ლექსიკონს წამდლვარებულ „ქართულ ლრამმატიკაში“ (1846 წ.).<sup>1</sup> კრიტიკის ქარცეცხლმა ვერ შეაშინა ილია... ისე რომ, ერთი სალიტერატურო ენის საკითხი შედარებით მაღვე და აღვილად მოვარდა — ილიას „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“ დაინერგა ხალხის ენასთან მიახლოებული სადა, მოწილი სალიტერატურო ენა. აქ ე.წ. „ზედმეტი ასოებიც“ აღარ იხმარებოდა.

უფრო რთული და მწვავე იყო მეორე — ერთიანი სალიტერატურო ენის პრობლემა, რომლის გადასაჭრელად ილია და მის ირგვლივ შემოკრებილი ინტელიგენცია მთელი სიცოცხლის

<sup>1</sup> ილიას უახლოესში თანამებრძოლება დავით ყიფიანშა პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნისას (1857-1860) საჯარო ლექციებიც წაიკითხა სალიტერატურო ენის განაღმურებისა და ფუნქციადაკარგული ასოების შესახებ (იხ. აღ. კალანდა ძალების ქართული უურნალისტის სტორია, III, 1989, გვ. 23).

მანძილზე იბრძოდნენ. აუცილებელი იყო გაღარიბებული ენის შევსება-გამდიდრება ხალხში გაბნეული ძარღვიანი სიტყვებითა და ფრაზეოლოგით, ძველი ქართული და ინტერნაციონალური ტერმინებით, რათა მეცნიერების ყველა დარგს შესძლებოდა მათი გამოყენება, საშური იყო ენის დახვეწა, განთავისუფლება ბარბარიზმებისაგან, არქაიზმებისაგან, დიალექტიზმებისაგან (ენის დემოკრატიზაციას ხომ ბუნებრივად მოჰყვა დიალექტური მასალის უხვად შემოჭრა სალიტერატურო ენაში). არანაკლებ საშური იყო ლექსიკონის, გრამატიკის შექმნა, სკოლებში ქართული ენის სწავლების მოგვარება და სხვა მრავალი.

ქართულ პრესაში ფართო მსჯელობა გაიძართა ენის სიწმინდის საკითხებზე. ამ საქმესაც იღიამ მისცა ბიძგი პეტრე მარიანაშვილის მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილი წერილის პასუხში ზედსართავ სახელთა მაწარმოებლების შესახებ<sup>1</sup>.

ამ მსჯელობისას თავდაპირველად ყურადღების ცენტრში მოექცა ენაში უხვად დავროვილი პარალელური ფორმები. გასარკვევი იყო, რომელი ფორმა უნდა მიჩნეულიყო სალიტერატურო ენისათვის მისაღებად: აღვიარებ თუ გაღიარებ, წაგიდენ თუ წაგიდნენ, ხეები დგას თუ ხეები დგანან, კეთილ კაცის თუ კეთილი კაცის, მუსიკალური სასწავლებელი თუ სამუსიკო სასწავლებელი...

ასეთ კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობისას (რაც მე-19 სის ბოლომდე გრძელდებოდა) წამოიჭრებოდა ხოგადთეორიული საკითხების გარკვევის საჭიროება; გროვდებოდა საყურადღებო მოსაზრებები, მნიშვნელოვანი შეხედულებები, ყალიბდებოდა დებულებები, გზას იკვლევდა მართებული თვალსაზრისი სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ცალკეულ საკითხთა შესახებ, თანდათან იკვეთებოდა პრობლემური საკითხებიც, კერძოდ: ორთოგრაფიის ხასიათი და ადგილი ქართულში (სჭირდება თუ არა ქართულს ორთოგრაფია?), რა უნდა იყოს საყრდენი ენის ფორმათა შემუშავებისას? სალიტერატურო ენისა და დიალექტების მიმართების საკითხი: უცხოენოვანი ლექსიკის შემოტანისა და მისი ქართულად გადმოცემის პრინციპები, ქართული

<sup>1</sup> პ. მირინა შვილი მოითხოვდა უცხოეური ზედსართავები გვეხმარასე, როგორც ძირეულ ენაში (ენიალი, სოციალი...), ილია კი ქართული უბური მაწარმოებლით გაფორმებას ამჯობინებდა (ყმებური, სოციელებური...).

ენის ლექსიკონის შედგენის, გრამატიკის შექმნისა და სხვა საკითხები. მეორე მხრივ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ეტაპზე ჯერ კიდევ კარგად არ იყო გამიგნული გრამატიკული და ნორმატიული საკითხები.

ცხარე დისკუსიებმა მაღვე აშკარა გახადა, რომ პრესის ფურცლებზე გაშლილი პაექტობით შეუძლებელი იყო გადაჭრა სადაც საკითხებისა (როგორც კონკრეტული, ისე ზოგადთეორიული), ყველასათვის მისაღები დასკვნების მიღწევა, მით უფრო — მათი დამკვიდრება. ისიც ნათელი შეიქნა, რომ ეს არ იყო ერთი ან ორი პირის გადასაწყვეტი საკითხები.

ჯერ კიდევ „ლისკარში“ გაიელვა აზრმა, რომ, „უნც გამოჩენით იციან ქართული ენა, ხანდისხან შეიყარნონ ქართული სიტყვიერების განსჯისა და მისი წარმატებისათვის“<sup>1</sup>. 1860 წ. გამოთქმულ ამ აზრს ერთგვარად ეხმიანება 1886 წ. ჯერ ილიას სიტყვები: „ჩვენ ვარჩიეთ შეგვეკრიბა რამდენადაც შესაძლოა ქართული ენის მცოდნენი და ყველა საცილობელი საგრამატიკო საგნები გავვერკვია“<sup>2</sup>, შემდეგ კი ილიას ბრაქტიკული ნაბიჯიც: „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთებამ მის წინაშე კიდევ უფრო მწვავედ დააყენა საორქოფო საკითხთა განხილვა-გადაწყვეტისა და სალიტერატურო ენის ნორმათა შემუშავების პროცესში, რომლის გადაჭრის ერთადერთ გზას იგი ენის მცოდნეთა ერთიან ძალისხმევაში ხედავდა. 1886 წ. 8 მარტს მან მოიწვია კიდევ კრება, რომელზედაც განსახილეულად წარმოდგენილი იყო ცხრა საკითხი, კერძოდ, როგორ უნდა იხმარებოდეს:

1. ცოდვილ პირისა, ცოდვილი პირისა თუ ცოდვილის პირისა; დიდ კაცმა თუ დიდმა კაცმა; დიდი წყალობით თუ დიდის წყალობით;

2. კაცად, უკანონოდ თუ კაცათ, უკანონოთ;

3. მიყიდე თუ მიგყიდე, შველით თუ ჰშველით — რა შემთხვევაშია აუცილებელი ჲ? რის ნიშანია ის — მოქმედის პირისა, თვით მოქმედებისა თუ მოქმედების მიმართულებისა ცალკალკე, თუ ყველა ამისა ერთად?

4. სწერ, სწერს, პწერ, პწერს ფორმებში ჲ და ს ერთნა-

<sup>1</sup> ალ. ჯამბაკურა-ორბელი ი. ი. ქართული უბნობა ანუ წერა, „ლისკარი“, 1860, №6, გვ. 104.

<sup>2</sup> „ივერიის ფოსტა“, „ივერია“, 1886 წ., №64.

ირად შესაწყნარებელია? თუ შეიძლება ან ჩა შემთხვევაში შეიძლება, რომ ერთმა მეორეს მაგივრობა გასწიოს?

5. ზედ-შესრულის (=ზედსართავის ლ. ლ.) დაბოლოება: „ულ-ი“, „ურ-ი“, „ელ-ი“, „ებურ-ი“ ერთნაირად შესაწყნარებელია თუ არა (მით უფრო უცხო სიტყვებში): სხვაგნური თუ სხვაგნებური; ძველური თუ ძველებური; გენიური, გენიალური, გენიოსური თუ გენიოსებური?

6. კაცური, ღვთიური, ყმური და კაცებური, ღვთაებური, ყმებური ერთნაირი მნიშვნელობის არიან თუ სხვადასხვისა, რაშია სხვაობა?

7. საჭიროა თუ არა ნაწილაკი რა (მივწერე რა, მოვიდა)? ალსაღვენია თუ არა ძველი სახე: მო-რა-ვიდა = მოვიდა რა?

8. თუ ქვემდებარე -ებ-იან ან ნ-არიან მრავლობითშია, როდის უნდა შეუთანხმდეს შემასმენელი?

9. ჩა განსხვავებაა ქართული ენისა და რუსული ენის წინადაღებათა შორის?

ღოյუმენტურიალ ცნობილი არ არის, ჩატარდა თუ არა ეს სხდომა, ან ჩა გაგრძელება ჰქონდა ამ წამოწყებას<sup>1</sup>. ერთი კია, რომ ეს კრება იქნებოდა ერთგვარი ბიძგის მიმცემიცა და ნიმუშიც ნორმითა მოწესრიგებისათვის, მაგრამ მსგავსი შეკრების მომწყობი ერთხანს მაინც აღარავინ ჩანდა. სალიტერატურო ენის მოწესრიგების პრობლემა კი XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში უფრო და უფრო მწვავდებოდა, შესაბამისად იზრდებოდა და მტკიცდებოდა ჩრდენა იმისა, რომ მხოლოდ ენის მცოდნეობა შეკრება შეძლებს საქმის შველას:

ერთიანი პრინციპების შემოღება ვარიანტული ფორმების დაწერილობაში გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა პეტრე ჭარაიას. მისი აზრით, ამისათვის „საჭიროა „კვალის“, „ივერიისა“ და „მოამბის“ წარმომადგენლები და ენის მცოდნენი შეიკრიბნენ... და მიიღონ ერთი ეხლანდელი ქართული ენის შესაფერი ორთოგრაფიია<sup>2</sup>.

<sup>1</sup> დაწვრილებით ინ. ა. შანიძე, ილია ჭავჭავაძე როგორც შეპრიმოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის. (წიგნში: ილია ჭავჭავაძე, სიიუბილეური კრებული, თბ., 1939; ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, ას წლის წინათ, უკრ. „დროშა“, 1986, №4; მისივე, დედა-უნის მესვეური, „კომისისტი“, 1987, 7.1, 6. კ თ ტ ი ნ თ ვ ი, ლ. მ ე ფ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ილია ჭავჭავაძე და საგრამატიკო პატრიარქი (1886-1894 წწ.), თბილისი, 1992 წ.).

<sup>2</sup> 3. ჭ ა რ ა ი ა, ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მართლწერა, „მოამბე“, 1895, №9, გვ. 98.

გრიგოლ ყიფშიძე ყველაზე მტკიცნეულად და პირველ  
რიგში მოსაგვარებლად მიიჩნევს სინტაქსის საკითხებს; მისი აზ-  
რით, მართლწერის საკითხები (გალიარე თუ აღვიარე, ახლა  
თუ ეხლა...) შედარებით წვრილმანია, უფრო მნიშვნელოვანია  
სიტყვათშეხამებები და კალკები, რომელთა მოსაგვარებლად საკ-  
მარისია რედაქციის წარმომადგენელთა შექრება და შეთანხმება —  
ასეთი და ასეთი მართლწერა დავიცვათ, ეს სიტყვა ასე ვწეროთ,  
ეს ასო ასე და ეს ასეო.

იმავე წელს გამ. „ივერია“ აღნიშნავდა: „არაერთხელ გაგვი-  
გონია და წაგვიკითხავს, რომ საჭიროა ამ საგანზედ მოლაპარა-  
კება და ამა თუ იმ დადგენილების მიღება“<sup>2</sup>.

დაგით ავალიანი (დონ-ვალიანი) სვამდა საკითხს კომისი-  
ის არჩევის შესახებ, რომელსაც უნდა მინდობოდა ქართული  
გრამატიკის შედგენა (ცხადია, ივარაუდებოდა, რომ ეს გრამატი-  
კა ნორმატიული ხასიათისა უნდა ყოფილიყო). კომისიაში უნდა  
აერჩიათ ქართულის საუკეთესო მცოდნენი სხვადასხვა კუთხიდან.  
ასეთებად დ. ავალიანს მიაჩნდა ილია, აკაკი, ი. გოგებაშვილი,  
ალ. სარაგიშვილი, პ. მირიანაშვილი, გრ. ყიფშიძე. ი. მეუნარგია,  
ვაჟა-ფშაველა და სხვები<sup>3</sup>.

ინილავდა რა მრავალ სადავო საკითხს, თედო სახოვია  
კოლექტიური სახელმძღვანელოს შედგენაში ხედავდა გამოსა-  
ვალს: „ქართული ენის მცოდნენი შეიკრიბონ, ერთობლივი და  
შეთანხმებული მუშაობით ერთი კარგი სახელმძღვანელო (ეტიმო-  
ლოგია და სინტაქსი) შეუდგინონ ქართველ ერსო“<sup>4</sup>.

პეტრე მირიანაშვილის წიგნის ჩეცენზენტი წერს: „საჭი-  
როა ქართველმა მეცნიერებმა, უურნალ-გაზეთების მესვეურებმა  
და ლაშესებულებათა გამგეობამ მიაქციოს ამ საკითხს ყურადღე-  
ბა, ითავონ საქმე და მოაწესარიგონ დღვევანდველი... წერა-ლაპარა-  
კი ისეთის კანონის შემოღებით, რომელიც ყველასათვის სავალ-

<sup>1</sup> გრ. ყიფშიძე, ორიოდე მოსაზრება ქართული ენისა და გრამატიკის  
შესახებ, „ივერია“, 1904, №101.

<sup>2</sup> „ნარკვევი უურნალ-გაზეთებიდან“, „ივერია“, 1895, №51.

<sup>3</sup> დონ-ვალიანი, ორიოდე სიტყვა ქართული ენის შესახებ, „ივერია“,  
1904, №101.

<sup>4</sup> თედო სახოვია, ქართული ენა, „სახალხო გაზეთი“, 1911, №№339-48.

დებულო უნდა იყვესო<sup>11</sup>.

ილიას ეს კრება იყო პირველი ცდა სალიტერატურო ენის სადაც საკითხთა განხილვასა ენის მცოდნებთა თავყრილობაზე და ამდენად პირველ ნორმათა კომისიის თუ ასეთი კომისიის ჩანასახს წარმოადგენდა. სწორი იყო ამ კომისიის მუშაობის წესი: განსახილველ საკითხებს წინასწარ აცნობდნენ კომისიის წევრებს, რომ გულდასმით გაცნობის, მოფიქრებისა და აწონ-დაწონის საშუალება ჰქონდათ.

სალიტერატურო ენის დასახვეჭად ილიას გვერდით იბრძოდნენ შესანიშნავი ინტელიგენტები: აკაკი, ვაჟა, დავით ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი, გრ. ყიფშიძე, პ. მირიანაშვილი, პ. უშიკაშვილი, ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), ა. ნანერშვილი და სხვ. (სალიტერატურო ენის ბეჭი მათზე იყო მინდობილი, სახელმწიფო ამ საქმეში არ ერეოდა). ქართველი ინტელიგენცია იღვწოდა დედანის ყველა საქირბოროტო პრობლემის გადასაჭრელად. განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა სამეცნიერო ტერმინოლოგის საკითხმა, როგორც საბასუხო რეაქციამ რუსი მოხელეების ცდაზე — ქართული სახელმძღვანელოების უქონლობისა და ტერმინოლოგის სიღარიბის საბაბით ემტკიცებინათ, ქართულ ენაზე სწავლება შეუძლებელია.

მიუხედავად ამ შესანიშნავი თაობის ტიტანური შრომისა, XIX საუკუნე ისე გაილია, რომ ქართული სალიტერატურო ენის მონოლითურობის აღდგენა არ მოხერხდა (ს. განაშია).

XIX-XX საუკუნეთა მიზნაზე აქტიურად მოღვაწეობდნენ ქართველი ენათმეცნიერები და პედაგოგები: პ. ჭარაია, ს. ხუნდაძე, ს. გორგაძე... მათ თავიანთი ლინგვისტური ოლოოს წყალობით საინტერესო დებულებები ჩამოაყალიბეს, მაგრამ ამ საქმეში მნიშვნელოვანი გარდატეხის მიღწევა ძნელი იყო. ნორმალიზაციის საკითხებზე მუშაობა კელავ ინდივიდუალური წესით მიმდინარეობდა. ეს კი საქმეს დიდად წინ ვერ წასწევდა. მაგრამ გარკვეული (და მნიშვნელოვანი) ნაბიჯი წინ მაინც გადაიდგა, კერძოდ, სპეციალისტები უკვე კონკრეტული საღავო საკითხების გარკვევით ან ცალკეული დებულებების ჩამოყალიბებით კი აღარ კმა-

<sup>11</sup> ბიბლიოგრაფია. „გახსოვდეს წერა-ლაბარაკის დროს“, ქართული გრამატიკის წესები, პ. ე. ტ. რ. ე. მ. ი. რ. ი. ა. ნ. უ. ვ. ი. ლ. ი. ს. მიერ პირველად გამოცემული, თბ., 1914, 31 გვ.: უკრნალი „გა-ნათლება“, 1914.

ყოფილდებიან, არამედ იწყებენ ნორმათა შესამუშავებლად საჭირო დებულებათა მთელი სისტემის შექმნას, რაღაც უკვე ჩამოყალიბდა აზრი, რომ პირველ რიგში აუცილებელია არა პარალელურ ფორმათაგან მართებულის შეჩრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ საერთო საყრდენის, საერთო ამოსავლის მოძებნა, პრინციპთა სისტემის შექმნა. ცნობილია რამდენიმე სპეციალისტის (მაგ., სილ. ხუნდიძისა, გრ. ყიჯშიძისა, სიმ. ვაჩანაძისა, სერგი გორგაძისა და სხვ.) ცდა ასეთი პრინციპების ჩამოსაყალიბებლად.

ყველაფერი ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მიზნა-მდე ჯერ ძალიან შორს იყო. სხვადასხვა ავტორის აზრები უნდა შეჯრებულიყო, საერთო აზრი უნდა შემუშავებულიყო, რაღაც საერთო ამოსავალი, ზოგადი პრინციპი მონაბულიყო, რომ მასზე დაყრდნობით მიღებული ნორმა დაკანონებულიყო და ყველასათვის სავალდებულოდ გამოცხადებულიყო და დანერგილიყო. სხვაგვარად სალიტერატურო ენაში ანარქიის დაძლევა და ერთსახეობის დამკვიდრება შეუძლებელი იყო. იმუშავდ კომისიის სამუშაოდ ან ყრილობის მოსაწვევად საჭირო სათანადო პირობები ჯერ კიდევ არ მომწიფებულიყო. სპეციალისტები იძულებული იყვნენ მცირე წრეში მაინც განეხილათ სადაცო საკითხები თუ შემუშავებული პრინციპები. იმართებოდა მსჯელობა და ეს წრეებიც ნორმების შემუშავებელ თავკრილობას წარმოადგინდა, ნორმების კომისიას ემსგავსებოდა.

ასე, მაგალითად, 1899-1900 წლების განმავლობაში, ზამთრობით სილოგან ხუნდაძე თავის გამოკვლევას — „სალიტერატურო ქართულს“ — კიოხულობდა ქართული ენის მოყვარულთა მცირე წრეში, ქუთაისში. იგი წერს: „კვირაში ერთხელ ვიკრიბებოდით და ბევრი დრო მოვანდომეთ სადაცო საკითხების გამორჩევას. პირველ სხდომაზე შემდეგი წინადაღება მივეცი სხენებულ კრებას: დავსხდეთ საქართველოს ორივე მხრიდან ქართული ენის მცოდნე პირები, მოვახდინოთ მათი კრება საღმე, დავავალოთ შეიმუშაონ ქართული ენის სადაცო ფორმები და, რასაც ისინი დაადგინენ, ვიმართო-მეთქი. ჩემი წინადაღების დედააზრი ყველას მოეწონა, მაგრამ მისი პრაქტიკულად განხორციელება შესაძლებლათ ვერ დაინახეს და ამიტომ კერძო წრეში დავიწყე

ამ ნაშრომის კითხვა<sup>1</sup>:

გარკვეული როლი ქართული სალიტერატურო ენის ნორმა-ლიზაციის ისტორიაში შეასრულა ასეთივე მეცნიერთა მცირე წერებ (ივ. ჯავახიშვილი, იოს. ყიფშიძე, პ. კეკელიძე, პ. ინგოროვა, იუსტ. აბულაძე), რომელმაც 1915 წ. სექტემბრის პირველ რიცხვებში რამდენიმე სხდომაზე განიხილა ცნობილი ენათმეცნიერისა და ისტორიკოსის სერგი გორგაძის მოხსენება სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრინციპთა შესახებ და გზა დაულიცა მას (იგივე მოხსენება უფრო სრული სახით იმავე წლის 20.IX-ს მოხსენდა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას“ (განიხილეს 21.X-ს და 5.XII-ს), ხოლო 1916 წ. 3-4 იანვარს — ქუთაისის საისტორიო საზოგადოების კრებასაც. მოხსენების მთავარი დებულებები, რომლებიც ყველგან მოწონებულ იქნა, მალე გამოქვეყნდა ცალკე წიგნაკად: ს. გორგაძე, „ქართული მართლწერა“ (ქუთაისი, 1916, გვ. 3-61). წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „სალიტერატურო ენაში მართლწერის წესებში არსებული ანარქია უბიძებებს ავტორს ეს თავისი პროექტი საზოგადოების სამსჯავროდ გამოიტანს ჰეშმარიტების გამოსარჩევად და არსებული ანარქიის ცოტაოდნად მაინც შესასუსტებლად და შესაჩერებლად... პრინციპთა შორის შინაგანი კავშირი და გამსაზღვრული თანმიმდევრობა: ყოველი შემდეგი პრინციპი წინას აუცილებელ დაბოლოებას და შესამზღვარს წარმოადგენს“. ამ პრინციპების ძირითადი აზრი მოყლედ ასე შეიძლება გადმოვცეთ:

1. ქართული მართლწერა არ არის წმინდა ფონეტიკური.

2. პარალელურ ფორმათაგან სალიტერატურო ენაში უნდა დარჩეს მნიშვნელოვანი ერთი. ერთსახეობა აუცილებელია ენის მონოლითურობისათვის.

3. შერჩევისას უნდა გამოირიცხოს „მკვდარი“ ფორმები, დარჩეს ცოცხალი ფორმა.

4. მკვდრად ჩაითვლება ის ფორმები, რომლებიც ძირითად დიალექტებში (ქართლ-კახურსა და იმერულ-გურულში) აღარ იხმარება.

5. ცოცხალ პარალელურ ფორმათაგან კი იმას მიეცემა უპირატესობა, რომელიც გენეტიკურად ახლოსაა ძველ მკვდარ

<sup>1</sup> ს. ხ უ 6 დ ა ძ ე, სალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901, გვ. VIII.

ფორმასთან.

6. თუ გაძნელდა ფონეტიკურ-დიალექტურ პარალელურ ფორმათა შორის უმჯობესის შეჩრევა, უპირატესობა უნდა მიეცეს მორფოლოგიურად სწორ ფორმას.

ამ მთავარ პრინციპთა შორის მოქმედებს ორი დანარჩენი პრინციპი:

7. კეთილხმოვანების პრინციპი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს სმენისათვის უფრო სასიამოვნო და გამოთქმისათვის უფრო აღვილ ფორმებს (შემდგომში ს. გორგაძემ უარყო ეს პრინციპი).

8. სასინტაქსო-ლოგიკური პრინციპი, რომელიც მოითხოვს სინტაქსური წესების მეაცრად დაცვას.

სერგი გორგაძის პრინციპები იმ პერიოდისათვის მეტად მნიშვნელოვანია, როგორც სისტემაში მოყვანილი დებულებები ენის ნორმალიზაციის შესახებ, თუმც ს. დანელიამ უსაყვედურა მას სირთულისა და ევროპული ენების ორთოგრაფიულ სისტემაზე დაყრდნობის გამო. ამ და სხვა ავტორთა პრინციპზე მსჯელობა აქ შორის წაგვიყვანდა. აქ გავისსენებთ მხოლოდ ითხებ ჟიფშიძის (რომლის შეხედულებებიც ახლოს იყო ს. გორგაძის პრინციპებთან) ძირითად დებულებას: „ორთოგრაფიის საღავო საკითხების მოსაწესრიგებლად არ კმარა ერთ რომელიმე (ფონეტიკურ, გრამატიკულ თუ ისტორიულ) პრინციპზე დაყრდნობა, საჭიროა საკითხისადმი კომპლექსური მიღვომა.“

იმავე ათიან წლებში, გარდა მცირე წრეებისა, იქნება ეროვნულ ფასეულობებზე მზრუნველი საზოგადოებები, რომლებიც აქტიურად ებმებოდნენ სალიტერატურო ენის მოწესრიგების საქმეშიც. ასე, მაგ., ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების („ქ. შ. წ.-კ. გ. საზ-ბა“) ქუთაისის განყოფილების სხდომაზე 1911 წლის 11 იანვარს გამართული მსჯელობა ერთიანი მართლწერის შესახებ. გრიგოლ გველესიანის წინადადებით გამეობას გადაუწყვეტია ლინგვისტთა კრების მოწვევა და ამის შესახებ მთავარი გამეობისათვის სათანადო მოხსენების წარდგენა.

მართლაც, 1912 წლის 21 მარტს ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების სხდომას (თავმჯდომარე გ. ყაზბეგი) ქუთაისის განყოფილების წარმომაზდგნელმა სამხონ ჟიფიანმა მოახსენა, რომ მას დაცვა-ლებული აქვს იღრას ერთიანი მართლწერის საკითხი და

წარმოადგინა ქუთაისის განყოფილების მიერ შემუშავებული ასე-  
თი გეგმა: მთავარმა გამგეობამ იქისროს ხელმძღვანელობა და  
არა უგვიანეს მიმდინარე წლის ზაფხულისა, ჩატაროს ლინ-  
გვისტთა კრება თბილისში; კრების შემადგენლობა შეარჩიოს  
ქართული ენის, ხალხისა და ქვეყნის ზელმიწევნით მცოდნე პირ-  
თა შორის. პირველმა კრებამ უნდა გაარყვიოს ის ზოგადი პრინ-  
ციპები, რომლებიც საფუძვლად დაედება შემდეგ კრებათა მუშა-  
ობას, კერძოდ:

1. ჩას უნდა ემყარებოდეს ენის ფორმათა დამუშავება —  
ხალხის მეტყველების, ძველ მწერლობის, თანამედროვე კლასიკო-  
სებს, აკადემიურ, თეორიულ კალევა-ძიებას თუ ყველას ერთად;

2. ჩა პრინციპები მივიღოთ ენის გამშვენიერებისა და გა-  
მარტივებისათვის;

3. ჩა გზას დავადგეთ უცხო სიტყვებისა და სამეცნიერო  
ტერმინების გაღმოლება-შემუშავებისათვის;

4. საჭიროა თუ არა ბეჭდურ სიტყვაში ასომთავრული და სხვ.

მათი აზრით, იმ ზოგადი პრინციპების მიხედვით, რომელ-  
თაც კრება მიიღებს სახელმძღვანელოთ, უნდა გარდაწყდეს ყვე-  
ლა სალავო საკითხი გრამატიკისა და მართლწერისა. იმავე პირ-  
ველ კრებას უნდა აერჩია მცირე კომისია სალიტერატურო ქარ-  
თულის სახელმძღვანელოს შესადგენად კომისიის მიერ მიღებულ  
პრინციპულ თუ პრაქტიკულ დირექტივათა მიხედვით. ეს პროექ-  
ტი მსჯელობის საგნად უნდა ქცეულიყო მომდევნო კრებებზე....

თავმჯდომარემ მოიწონა ქუთაისის განყოფილების ინიცია-  
ტივა, მაგრამ მისი გადაწყვეტა საერთო კრებაზე შეუძლებლად  
მიიჩნია — გამგეობა დაწვრილებით გამოიკვლევს მას და მოახსე-  
ნებს კრებასო. იმავე სხდომას შინ. ნასიძემ მოახსენა, რომ ამავე  
საკითხის აღმდეგ მისითვის დავადგებული პქნდა ქ.შ.წ.-კ.გ. საზოგა-  
დოების ბაქოს განყოფილებას, ოლონდ იქ მიაჩნდათ, რომ სალიტე-  
რატურო ენის შემუშავება უნდა დაჰქისრებოდა ერთ ან ორ კაცს,  
და არა მთელ კრებას, რადგან ეს საკიბინეტო შრომააო?

ყოველივე ეს ნორმათა პრინციპების ძიება-ჩამოყალიბების  
რეალური ცდა იყო.

<sup>1</sup> ქ. შ. წ.-კ. გ. საზ-ბის სხდომის ოქმი, უურნ. „განათლება“, 1913 წ. №2-ის  
დამატებაში, გვ. 17-22.

<sup>2</sup> ქ. „განათლება“, იქვე.

სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრინციპთა პრობლემა „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ ყურადღების ცენტრშიც მოექცა (ეს იყო მეცნიერულ-პოპულარული წებაყოფლობითი ორგანიზაცია, დაარსდა 1912 წ. თბილისში, მოსკოვის უნივერსიტეტში, ქართველ სტუდენტთა მიერ 1907 წელს შექმნილი წრის ბაზაზე. დამაარსებელი და თავმჯდომარე გიორგი თედოს ძე უორდანია. საზოგადოება მიზნად ისახავდა ქართული კულტურის ყოველმხრივ შესწავლასა და პოპულარიზაციას).<sup>1</sup>

1915 წლის № 8-9-ში ჟურნ. „განათლება“ იუწყებოდა: „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაზ“ ერთი ფრიად საჭირო საქმის მოვარება იყისრა, — ეს საგანი გახლავთ საერთო მართლწერის დამყარება ჩვენს მწერლობაში და გარკვევა სხვადასხვა საგრამატიკო წესებისა“.

საზოგადოება დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს. ასეთივე ენთუზიაზმით ჩაება ამ მუშაობაში მთელი მოწინავე ინტელიგენცია. განსაკუთრებით ინტენსიური საქმიანობა მიმდინარეობდა 1915-1916 წლებში. კრებებზე წამოიჭრა პრინციპული თუ ორგანიზაციული ხასიათის ბევრი საკითხი. ასე, მაგ.: უფლებამოსილია თუ არა საზოგადოების კრება, საბოლოოდ გადაჭრას სადაცო საკითხები, თუ ეს უნდა მიენდოს სპეციალისტთა ყრილობას? შესაძლებელია თუ არა გრამატიკული საკითხების დადგენა დიდ ყრილობაზე, თუ ეს საკითხინერო საქმეა? ენაში ანარქიის აღსავეთად აუცილებელია თუ არა კანონების შემუშავება, ნორმის დადგენა, თუ ერთი რომელიმე ფორმის დაქანონება შემოქმედისა და ცოცხალი მეტყველების შეზღუდვა იქნება? რა უნდა იყოს საყრდენი, ამოსავალი სალიტერატურო ენის ნორმათა დასადგენად — ცოცხალი მეტყველება, ძველი ქართული ენა, ფონეტიკა, თუ ყველა ერთად? სჭირდება თუ არა ქართულს ორთოგრაფია? არის თუ არა განსხვავება სალიტერატურო ენასა და მართლწერას შორის?

სვ. დადიანმა საერთო კრებაზე პრინციპულად დააყენა საკითხი ენის კანონთა შესახებ: „კანონი ნორმაა, ის ასახავს

<sup>1</sup> დაწერილებით იხ. ქსქს, VIII, 1988, გვ. 6-26; ასევე: ლ. გ ი დ ე რ ი ძ ე, მასალები ქ. მ წ . - კ ტ . საზოგადოების ისტორიისათვის; „საისტორიო მოამბე“, 1973, № 27-28.

იმას, რაც ჩამდენჯერმე განმეორებულა. მომეცით მე კანონი, რომ მის მიხედვით ვიხელმძღვანელონ“.

ამ საკითხთა შესახებ საზოგადოების საჯარო კრებებზე საინტერესო მსჯელობა იმართებოდა ხოლმე და ზოგჯერ გარკვეულ დასკვნებამდეც მიღიოდნენ. მაგალითად, გადაწყდა, რომ „ქართული მართლწერა იგივე მართლმეტყველება არ არის, ქართული ორთოგრაფია ცალკე არსებობს, როგორც ერთ-ერთი განსაკუთრებული დარგი გრამატიკისა“<sup>1</sup>.

ფართო საზოგადოებას შეეძლო თვალი მიედევნებინა, თუ როგორ მიმდინარეობდა მუშაობა სალიტერატურო ენის ნორმა-ლიზაციისათვის, რამდენადაც საინტერესოდ დაწერილი ვრცელი ოქმები (მდიგანი — ილია ზაკურაძე) სისტემატურად ქვეყნობოდა ქართულ პრესაში („საქართველო“, „განათლება“, „სახალხო ფურცელი“, „კლდე“).

საზოგადოების საჯარო კრებებზე დასვა ლექსიკონების შედეგნის საკითხიც: მაგ., იოსებ იმედაშვილმა ოღნიშნა უცხო სიტყვათა ლექსიკონის შედეგნის აუცილებლობა, პ. მირიანაშვილმა — მართლწერის ლექსიკონისა, მელიტონ კელენჯერიძემ — სამეცნიერო-საგრამატიკო ტერმინოლოგიის შემუშავებისა და ა. შ.

ორი წლის მანძილზე „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ საჯარო კრებებზე მოისმინეს სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისადმი მიძღვნილი ათი მოხსენება: რა გზით შეიძლება მართლწერის მოწესრიგება? ქართული ზმინს მართლწერის საკითხები (ს. გორგაძე); ქართული მართლწერა ჩვენს მწერლობაში; ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოები (მელ. კელენჯერიძე); ქართული მართლმეტყველება და წერა (მიხ. ნერქეულიძე); ქართული მართლწერის საკითხები; თავსართი სა- და ბოლოსართი -ურ; ილია და აკაკი მართლაც მდაბიურის ენის შემოქმედნი იყვნენ? ლექსიკონის გეგმა და კითხვითი ფურცელი (პ. მირიანაშვილი); სოფელი და სოფლელები სოფ. მგალობლივილის მოხრიობებში (იბ. გართაგავა); ერთი სკოლა და ერთი უნივერსიტეტი მოელი საქართველოსათვის (იგ. რომაშვილი).

იპოლიტე ვართაგავას მოხსენების შემდეგ კრებაშ ერთ-

<sup>1</sup> ცსა, ფ. 2094, ს. № 10, გვ. 79.

ხმად მიიღო დადგენილება, რომ დაუყოვნებლივ ამოეკრიბათ ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან თანამედროვე მწერლობაში უხმარებელი სიტყვები და ფრაზები. მეორე დღეს კი გამგეობამ დაადგინა, რომ ამ თვალსაზრისით დამუშავებულიყო ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიც. ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა საილუსტრაციო ფონდის შექმნას.

ენის საკითხებზე მოხსენებათა განხილვა ასე მიმდინარეობდა: მეცნიერულ დონეზე მომზადებული, დასაბუთებული მოხსენება ჯერ იკითხებოდა სპეციალური წრის ან გამგეობის სხდომაზე, შემდეგ ამ მოხსენებას მოისმენდა და განიხილავდა საზოგადოების საჯარო კრება, რომელსაც ხშირად 100-150 კაცი ესწრებოდა. იმართებოდა ფართო მსჯელობა. საკითხი საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა სპეციალისტთა ყრილობას, რომელიც 1917 წელს უნდა გამართულიყო, მაგრამ ყრილობის მოწვევა ვერ მოხერხდა. 1918 წელს კი ქართული კულტურის მეცნიერული შესწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელში გადავიდა. (ამავე წლიდან საზოგადოებამ ახალი სახელწოდება ("საქართველოს კულტურისა და შრომის კავშირი") და წესდება მიიღო. მენშევიკების შემოსვლის დროს საზოგადოებას უხდებოდა ბრძოლა არსებობისათვის, მაგრამ მაინც ცდილობდა ზოგი რამის გაკეთებას).

"ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ" დიდი როლი შესასრულა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრობლემის უკეთ გამოკვეთასა და მის სწორ გზაზე დაყენებაში. საზოგადოების მოღვაწეობის შედეგად სალიტერატურო ენის სადაც საკითხებზე მუშაობას სისტემატური, ორგანიზებული ხასიათი მიეცა. სალიტერატურო ენის სირთულეები გახდა არა ცალკეული პირის ან გაზიერის მსჯელობის, არამედ სპეციალისტთა კვლევისა და განსჯის, ენის საკითხთა ფართო წრეში განწილვის საგანი.

შეუნელებელი მზრუნველობითა და დაუცხრომელი მუშაობით „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ“ გამოაფიქსდა საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოებრიობის ყურადღება გაამახვილა ენის პრობლემებზე. განსაკუთრებულია საზოგადოების ღვაწლი ქართული ენის როლისა და ავტორიტეტის გაზრდის, მისი ფუნქციების გაფართოება-განმტკიცების, სალიტერა-

ტურო ენის დახვეწისა და მონოლითურობისათვის ბრძოლაში.

საზოგადოებას თავის მოვალეობად მიაჩნდა, რომ ქართველი საზოგადოება შესჩვეოდა ქართულად ლაპარაკსა და აზროვნებას. საზოგადოების ყოველგვარი ქრებები, კრების ოქმები, მიწერ-მოწერა მხოლოდ ქართულად წარმოებდა; განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სკოლებში ქართული ენის დაცვას; აუცილებლად მიაჩნდათ, რომ ქართული პრესის სათვეში ყოფილიყვნენ ქართული ენის კარგად მცოდნენი, რომ უურნალ-გაზე-თების რედაქციებს ჰყოლოდათ სტილისტები...

შეიძლება ითქვას, რომ თავისი მუშაობის ხასათით, სერიოზულობითა და დონით ეს საზოგადოება ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენ კომისიის უტოლდება, მისი წინამორბედია.

ყოველივე ამის შედეგად ამ დიდი ეროვნული პრობლემის მოგვარება, მიუხედავად სირთულეებისა, XX ს-ის დასაწყისიდან, 10-20-იან წლებში, თანდათან რეალური ხდებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქართულ მეცნიერებაში მოღვაწეობა დაიწყო ფრიად ნიჭიერმა, კარგად განსაზღვლულმა თაობამ (ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, იოს. ყიფშიძე, დ. უზნაძე, ქ. კეპელიძე, ს. გორგაძე, იუსტ. აბულაძე, ს. ჯანაშია, არნ. ჩიქობავა, ს. ყაუხეჩიშვილი, გ. უორდანია და სხვ.). ამავე დროს ქვეყანაში დიდი ძვრები ხდება.

\* \* \*

როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების-თანავე წამოყენებულ იქნა კავშირში შემავალ ერთა კულტურული ოლორინების ლოზუნები. ამა თუ იმ ერის კულტურას უორმა ნაციონალური უნდა ჰქონოდა, ხოლო შინაარსი — ინტერნაციონალური. მაგრამ ამ ლოზუნებს ჰქონდა მეორე მხარეც. ი. სტალინი წერდა: „უნდა იყვავდეს ერთ კვეყანაში ნაციონალური კულტურა (და ენები) პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში იმ მიზნით, რომ მომზადდეს პირობები მათი გაქრობისა და ერთ საერთო სოციალისტურ კულტურად (ან ერთ საერთო ერად) შეერთებისა მთელს მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში”<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები (გვ. 590). ვიმოწმებთ ვ. თო-ფურიას პუბლიკაციის მიხედვით.

ვინაიდან სალიტერატურო ენა კულტურის პროდუქტიცაა და მისი შემდგომი განვითარების საშუალებაც, ცხადია, ფორმით ნაციონალური კულტურის შექმნის უპირველესი პირობა იყო ნაციონალურ ენათა უფლებების აღდგენა, მისი გამოყენება ცხოვრების ყველა სფეროში. 1921 წ. ქართული გამოცხადდა სახელმწიფო ენად, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართულ ენაზე იმუშავებდა ყველა დაწესებულება... მაგრამ ეს საქმაოდ რთული პროცესი იყო. ხანგრძლივად დევნილი და შევიწროებული, თითქმის ხმარებიდან ამოღებული ქართული ენა საჭიროებდა დახვეწას, გამდიდრებას ლექსიკით, პირველ რიგში სამეცნიერო ტერმინოლოგით შევსებას. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგის მდგრამარეობა კი რთული იყო. 1925 წ. გ. ახვლედიანი წერდა: „ქართველ ერს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო შეექმნა თავისი ტერმინოლოგია, რადგანაც... ასი და მეტი წლის განმავლობაში სამეცნიერო აზროვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ენად იყი გამოყენებული არ იყო და აქედან ცხადია, თუ რატომ არ ხდებოდა თანდათანი ნორმალური სპეციალისაცია ქართული ენის ლექსიკისა<sup>1</sup>.

ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციები, მისი გამოყენების არე ერთბაშად დიდად გაიზარდა ე.წ. კულტურული რევოლუციის შედეგად. სალიტერატურო ენა შეიისო, გამდიდრდა, ამასთან, მომრავლდა პარალელური ფორმები და სადაცო საკითხებიც. მათი მოწესრიგება გადაუდებელ საქმედ იქცა.

ქართველი ინტელიგენცია გრძნობდა ამას და თავდადებით იღვწოდა ენის დასახვეწად, გასამართავად. მაგრამ ცალკეულ პირთა თუ საზოგადოებათა ძალები საქმაო არ იყო ამ დიდი საქმის მოსაგვარებლად. საჭირო ძალებითა და მასშტაბით მუშაობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ სახელმწიფოს ჩარევის შემდეგ.

ვინაიდან სალიტერატურო ენა სახელმწიფო ენა იყო საქართველოსათვის (შასხე ზრუნვა ევალებოდა სახელმწიფოს), მისი უნიფიკაციისათვის სათანადო ღონისძიებათა სრულყოფილი განხორციელება მხოლოდ სახელმწიფოს ხელმძღვანელობას თუ შეეძლო.

საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც 30-იან წლებში დაინტერესდა სალიტერატურო ენის პრობლემებით, შე-

<sup>1</sup> გ. ახ. ვ. ლ. ე. დ. ი. ი. ნ. ი., წინასიტუაცია წიგნისა: ლ. ც. ა. გ. ა. რ. ე. ლ. ი., სამხედრო-ტექნიკური ტერმინოლოგია, ტულისი, 1925, გვ. IV.

ძლო საგანგებო კომისიის შექმნა და სათანადო ნორმათა პრინციპების შემუშავებაც (1934-35).

1950-იან წლებში კიდევ უფრო ორგანიზებულად წარმოებდა სისტემატური მუშაობა. 1953 წ. შეიქმნა მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომელსაც სალიტერატურო ენის უნიფიცირებისათვის კანონის ძალის მქონე ნორმები უნდა დაედგინა. კომისიას თავმჯდომარეობდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (ამ ხაზით კომისიას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: გ. ჯავახიშვილი, ზ. ბატარიძე, დ. ქართველიშვილი, ო. ჩერქეზია, ნ. ჭითანავა). კომისია წარმომადგენლობითი ხასიათისა იყო. მის შემადგენლობაში იყვნენ საღირექტივო ორგანების, ქართული მწერლობის, სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები, პრესის მუშაკები, ქართული ენის სპეციალისტები.

თუმცა XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის ათიან წლებში ქართველი ინტელიგენცია თავგამოდებით შრომობდა ქართულ სახელმძღვანელოთა და სათანადო ტერმინოლოგიათა შესაქმნელად, ჯერ კიდევ მაინც ბევრი ად იყო საჭირო ეროვნულ სასწავლებელთა ქართული სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად. მდგრამარეობას კიდევ უფრო ართულებდა ის სიძნელეები, რომლებიც ბოლოიტიკურ-სოციალურმა ძრებება მოიტანა ენაში: უხვი უცხოენოვანი მასალა, თარგმანები, ოფიციალური ქაღალდები და სხვ. სალიტერატურო ენის დაუხვეწიანბა დიდ სირთულეს უქმნიდა მეცნიერებს, მწერლებს, მთარგმნელებს, პედაგოგებს, უურნალისტებს...

მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ქართული ენა ოფიციალურად აღდგა თავის უფლებებში. ჩესპუბლიკის ხელმძღვანელობა უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა სალიტერატურო ენის აღორძინებას (თუნდაც მოსკოვის კურსის შესაბამისად!). სალიტერატურო ენის შესახებ მსჯელობრნენ ცაგის პლენუმებზე, მწერალთა კავშირის ყრილობებზე, პრესაში... განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა გაზეთს, რომელსაც ყველაზე მეტი ჰქითხველი ჰყავდა. ენის სიშინდისათვის ბრძოლაში ჩაედა ფართო საზოგადოებრიობა. ინტელიგენცია თავდაუზოგავად იბრძოდა სკოლისა და დაწესებულებათა გაეროვნულებისათვის!

1918 წ. ივნისის მეორე ნახევარში მუშაობა დაიწყო ტექნიკური საზოგადოების სატერმინო სექციაში, რომლის წევრე-

<sup>1</sup> უფრო დაწერილებით იხ. ლ. შალვა შვილი, ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის განვითარება საბჭოთა პერიოდში, თბ., 1986, გვ. 295 და შედ.

ბიც იყვნენ: ვასილ კაკაბაძე (თავმჯდომარე), გიორგი გელევანიშვილი (მოადგილე), ირაკლი მჭედლიშვილი, დავით ბერიკაშვილი (მდივანი). 1919 წელს მათ შეუერთდა მეორე ჭგუფი: რუსუდან და გორგო ნიკოლაძეები (ჩომლებიც მანამდე დიდი ჯინამშის სკოლაში მოლვაწეობდნენ და ერთი წლით ადრე დაეწყოთ ქართული სახელმძღვანელოებისათვის ტერმინოლოგიის შემუშავება), ივ. ბერიძე, მიხ. შალამბერიძე<sup>1</sup>.

სატერმინო სექციამ შეადგინა და გამოსცა „ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი)“, პირველი წიგნი (რუსულ-ქართული ნაწილი) — 1920 წელს, მეორე წიგნი (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ნაწილები) — 1921 წელს. ლექსიკონის შედგენაზე შეუნელებელი ენთუზიაზმით იღვაწა იმდროინდელმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ. მათ მიერ შემუშავებული ბევრი ტერმინი დამკვიდრდა ქართულ ენაში (წევა, ძრავა, სინჯარა, ხსნარი, წნები, ნათურა...), მაგრამ ლექსიკონის ძირითადი პრინციპი არ იქნა მოწონებული, რადგან სრულიად უგულებელყოფდა ინტერნაციონალურ ტერმინებს და მათ ცვლილა მოვონილი ან ქართული ძირებიდან ხელოვნურად ნაწარმოები სიტყვებით (მაგ.: მონოპოლია — ხოლოუფლება, ბენზინი — ბიჭვინი, კომპლექტი — სავსი...). ასეთი უკიდურესი პურიზმი, რა თქმა უნდა, მიუღებელი იყო.

მიუხედავად ამ ნაკლისა, ეს ლექსიკონი, როგორც აღნიშნავნ, მნიშვნელოვანი წამოწევება იყო: ითქვა პირველი ქართული ტექნიკური სიტყვა, დასაბამი მიეცა ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიას. რაც შეეხება ლექსიკონის პრინციპს, ვუკ. ბერიძე მას ასე განმარტავს: „ეს ლექსიკონი წარმოიშვა როგორც რეაქცია, როგორც პასუხი თვითმიმდევრობელური გამარტიულებელი პოლიტიკისა“<sup>2</sup>.

ინტელიგენციის საგულისხმო ცდებმა, რომ სალიტერატურო, ენის სადაცო საკითხები გადაეჭრათ საჯარო შექრებებზე (წ.-კ. გ. საზ-ბა, ქართ. კულტ. მოყვ. საზ-ბა...) ძირითად მიზანს მაინც ვერ მიაღწია საესებით გარკვეული მიზეზის გამო: არ არსებობდა საყოველთაოდ მიღებული, ყველასათვის სავალდებულო მეცნიერული წანამძღვრები, რომელთაც ყველა ერთგვარად

<sup>1</sup> რ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე, პირველი ტექნიკური ლექსიკონი და მისი როლი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, 1981, გვ. 155.

<sup>2</sup> ვაკ. ბ ე რ ი ძ ე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის, ურნ. მეცნიერება და ტექნიკა, 1952, № 7, გვ. 30.

გამოიყენებდა. მეორეცაა და, ამ საქმეს პკლდა მზრუნველი, რო-  
მელსაც ხელეწიფებოდა შემუშავებული წესის ყველასათვის სა-  
ვალდებულოდ გამოცხადება, დაკანონება. ასეთ ხელმძღვანელო-  
ბას სთხოვდა სილ. ხუნდაძე იმუშავინდელ მთავრობას განცხადე-  
ბაში, რომლითაც 1919 წ. ოქტომბერში მიმართა განათლების  
კომისარის. აღუშებული რა ქართული სალიტერატურო ენის მძიმე  
მდგომარეობას, არწმუნებდა მას, რომ ერთოდებოთ გამოსავალია  
მთავრობის ინიციატივა, მისი განკარგულებით უნდა დაკანონდეს  
ლიტერატურული ფორმებით. იქვე კომისარის იმასაც სთხოვდა,  
რომ გაეცა განკარგულება ენის მცოდნე<sup>1</sup> პირთაგან კომისიის და-  
უყოვნებლივ შედგენის შესახებ, რათა ამ კომისიის მოკლე ხანში  
შეემუშავებინა სავალდებულო ფორმები. ს. ხუნდაძისავე თხოვ-  
ნით, საკითხის დიდი მნიშვნელობის გამო გაზ. „სახალხო საქმე“  
1919 წლის 25 ნოემბრის ნომერში (№ 658, გვ. 1) გამოაქვეყნა  
ეს განცხადება<sup>2</sup>.

ზოგ მოღვაწეს საეჭვოდ ეჩვენებოდა მთავრობის თაოსნო-  
ბის ეფექტურობა<sup>2</sup>, მაგრამ განათლების სახალხო კომისარიატთან  
არსებულმა სასწავლო კომიტეტმა მყისე მიიღო დადგენილება, რომ  
სალიტერატურო ენის სადაცო საკითხთა გადასაჭრელიც  
1920 წ. 24 მაისს, დღის 10 საათზე, გამართულიყო ენის  
მცოდნეთა კონფერენცია. წინასწარი სამუშაოები დაკვისრა  
„საორგანიზაციო კომისიას“, რომელიც დაკომპლექტდა უნი-  
ვერსიტეტის საკუთხევო ძალებით (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი,  
პ. პეტელიძე, ს. გორგაძე, ვუკ. ბერიძე). კომისიას უნდა შეემუშა-  
ვებინა სადაცო საკითხთა მოწესრიგების სარეკომენდაციით წესები.  
ეს დასკვნები მოხსენდებოდა კონფერენციას, იქ მიღებული გადა-  
წყვეტილებები კი — სასწავლო კომიტეტს, რომელიც საბოლოო  
სანქციის მისცემდა მართებულ ფორმებს, ხოლო ამ ფორმებს  
გამოაქვეყნებდა და სავალდებულოდ გამოაცხადებდა განათლების  
სახალხო კომისარიატი.

„საორგანიზაციო კომისიამ“ დაუყოვნებლივ დაიწყო მუშაო-  
ბა. პირველ ყოვლისა, მან გამოაქვეყნა მოსაგვარებელი საკითხე-

<sup>1</sup> სილ. ხ უ ნ დ ა ძ ე, სახალხო განათლების კომისარს სილოვან ხუნდაძის  
მოხსენება, გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, 25.XI, № 633.

<sup>2</sup> პ. მირიან ა შ ვ ი ლ ი, ისევ ქართული ენის საკითხი და სილოვან ხუნ-  
დაძე, გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, 3.XII, № 635.

ბის სია. სწდომები სისტემატურად იმართებოდა 1920 წ. 4 აპრილიდან 1921 წ. 16 აპრილამდე სხდომების შუშაობაში მონაწილეობას იღებდა ხოლმე ლ. უზნაძეც.

ამ შუშაობის შედეგად ვანათლების კომიტეტმა 1921 წ. გამოსცა წიგნაკი „სალიტერატურო ქართულისათვის“ (პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადაცო საკითხების მოხარულივებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ, ტფ., 1921, 54 გვ.). აქ პირველ რიგში მოკლედ იყო წარმოდგენილი კომისიის მიერ მიღებული პრინციპები: 1. ფორმათა ერთსახეობა (უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებლად იყო მიჩნეული ბარალელური ფორმების დაშვებაც); 2. ფორმის სიცოცხლისუნარიანობა ("ცოცხალ" ფორმათა უპირატესობა „პკდარ“ ფორმებთან შედარებით); 3. გავრცელებულობა (ერთი ფორმის რამდენიმე ვარიანტს შორის უპირატესობა ენიჭებოდა საუბარსა და მწერლობაში უფრო გავრცელებულ ფორმებს); 4. ფორმის სიძველე (ისტორიულად სწორ ფორმათან კავშირი და სიახლოვე).

ამრიგად, სალიტერატურო ენაში აუცილებელი ერთსახეობის დასაღენად უპირატესობა უნდა მიეცეს იმ ფორმას, რომელიც უფრო ახალია, უფრო გავრცელებულია, გამართლებულია ისტორიულად და ცოცხალია, ხმარებაშია.

ამავე წიგნაკში წარმოდგენილი იყო ჩეკომენდაციები სალიტერატურო ქართულის კონკრეტულ სადაცო საკითხებზე, რომლებიც წლების მანძილზე განიხილებოდა პრესაში თუ ცალკეულ აუტორთა წერილებსა და ნაშრომებში. ასე, მაგ.: ძევლი ასოებისა და ასომთავრულების საკითხი, ორმაგი მრავლობითი (ძმ-ან-ებ-ი, კარ-ებ-ებ-ი...), ზოგი ფონეტიკური და მორფოლოგიურ-სინტაქსური საკითხი (მწვანილი და არა წვანილი; დაო, ძმაო და არა დავო, ძმავო; თვითეული და არა თითოეული; მშია და არა მშიან; ხელნაწერი და არა ხელთნაწერი, ცოდვა და არა ცოდო; თამაშობდენ და არა თამაშობდნენ, კიგის და არა კიგა, დასდგომოდა და არა დასდგომივო, გწერდა(თ) (თქვენ ის) და არა გწერდა, კეთილისა და ბრძენი კაცის და არა კეთილისა და ბრძენ კაცის, ურმის კარგი თვალი და არა კარგი ურმის თვალი და სხვ.).

კომისიის ჩეკომენდაციები (და ზოგი პრინციპიც) ყველამ

არ გაიზიარა. განსაკუთრებით ცხარედ კამათობდა ს. ხუნდაძე. კომისიის ყველა წევრიც არ ეთანაბეჭდდა ზოგ გადაწყვეტილებას. მიუხედავად ყველაფრისა, კომისიის მოღვაწეობა იმ ეტაპისათვის მაინც დიდად ფასეული იყო. ეს იყო სახელმწიფოს მიერ შექმნილი პირველი კომისია სპეციალისტთა მონაწილეობით, რომელმაც შეძლო პრინციპებისა და რეკომენდაციების შემუშავება გარკვეულ მეცნიერულ დონეზე.

როგორც ამ წიგნაյის ბოლოსიტყვაობა გვაუწყებს, „კონფერენციისათვის მომზადდა ჩამდენიშე მოხსენებაც: 1. ა. **შანიძისა**, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზნებში: პროექტი ორთოგრაფიული რეფორმისათვის (1920 წ., გვ. 180-182). ეს მონაკვეთი ცალკე წიგნა-კადაც გამოიცა. ლ. ლ.); 2. გ. **ანგლედიანისა**, ყრუ **medine** ქართულში, ტფილისი, 1920; 3. ბ. **გორგაძისა**, ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან (1850-1920), რომელიც 1920 წლის ზაფხულიდან დამზადებულია დასახურდად. მზადდება სხვა მოხსენებებიც“.

1923 წ. 1 მარტის ნომერში გაზ. „კომუნისტი“ იუწყებოდა: „სასწავლო კომიტეტისაგან გამოყოფილმა სპეციალისტთა კომისიამ თავინთი მუშაობა უკვე დაასრულა, შემუშავებული მასალები დაბეჭდა და ახლო მომავალში მოიწვევე კონგრესს, რომელიც საბოლოოდ დაამყარებს ყველასათვის საკალდებულო ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს“<sup>1</sup>. მაგრამ ჩაღაც სხვაც იყო საჭირო ყრილობისა თუ კონგრესისათვის სათანადო ნიადაგის შესამზადებლად. მწვავედ იგრძნობოდა აუცილებლობა, რომ ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას უფრო გეგმაზომიერი ხასიათი მისცემოდა.

1921 წლის 1 ნოემბერს, მთავრობის დადგენილებით, განათლების სახალხო კომისარიატთან („განსახკომთან“) დაარსდა უწარდლესი სამეცნიერო დაწესებულება „სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო“ (თავმჯდომარე — განათლების კომისარი დავით კანდელაკი, თავმჯდომარის ამხანაგი — ივანე ჭავახიშვილი, მდივანი — მიხეილ ზანდუშვილი. საბჭოს მუშაობას ფაქტობრივ წარმართავდა ივ. ჭავახიშვილი). საბჭოს მთავარი მიზანი იყო

<sup>1</sup> მოგვყვავს ლ. შალვა მარიას დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 329.

განათლებისა და სალიტერატურო ენის საკითხებზე ზრუნვა. განათლების სისტემის უპირველეს პროცესში წარმოადგენდა სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოების შექმნა, რისთვისაც აუცილებელი იყო ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შედგენა. ივ. ჭავახიშვილს ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა სალიტერატურო ენის მოწესრიგების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა. მისი ჩრდენით, ეს იქნებოდა ქართული ენის განვითარების ყველაზე მძლავრი იარაღი. იგი ერთ მთლიანობაში ხედავდა ტერმინოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და სალიტერატურო ენის მოწესრიგების დიდ მნიშვნელობას. ამიტომ ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ტერმინთა შემმუშავებელი კომისია, რომელიც ტერმინოლოგიური და ნორმატიული საკითხების შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი კერა იყო.

ივ. ჭავახიშვილის დიდი ძალისხმევით შეგროვილი დიდალი ტერმინოლოგიური მასალისა და დიდი ცოდნის მაქსიმალურად გამოყენებით, აგრეთვე სპეციალისტთა თავდადებული მუშაობით მოკლე ხანში (1921-28 წლებში) საბჭომ რამდენიმე დარგის ტერმინოლოგია გამოსცა და ბევრიც გამოსაცემად მოამზადა.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის ბრძოლაში საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა გ. ანგლედიანის ინიციატივით 1923 წლის 18 თებერვალს დაარსებული „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“ (დამფუძნებელი წევრები: გ. ანგლედიანი, კ. კეკელიძე, ს. გორგაძე, ვლკ. ბერიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, დომ. მელიაძე, მაკ. ხუბუა, სტ. ჩხერიძე, ლ. მელიქესეთ-ბეგი). საზოგადოების წევრებად ჩაირიცხენ ის პირებიც, რომელნიც შემთხვევით ვერ დაესწრენ ამ სხდომას (ივ. ჭავახიშვილი, დ. უზნაძე, ი. აბულაძე, ა. შანიძე, მ. ჭანაშვილი, ს. ჭანაშია, ს. იორდანიშვილი). არჩეულ იქნა საზოგადოების საბჭო: გიორგი ანგლედიანი (თავმჯდომარე), აკაკი შანიძე (თავმჯდომარის ამხანაგი), ბენედიქტე (არნოლდ) ჩიქობავა (მდივანი), დიმიტრი მელიაძე (მოლარე), აგრეთვე სარევიზო კომისია.

საზოგადოებამ გამოსცა კრებული „წელიწდეული“ (1923-24 წ.წ.), რომელშიც შევიდა მაღალკვალიფიციური ნაშრომები. ეს იყო მომავალი ძლიერი ქართული საენათმეცნიერო სკოლის

ერთ-ერთი პირველი, ფრიად მნიშვნელოვანი განაცხადი.

1925 წელს სამეცნიერო საბჭო ჩერტიგიანიზაციის შედეგად „ცენტრალურ სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტად“ (1926 წლიდან კომიტეტს „კომისია“ ეწოდა) გადაკეთდა და და-ემცემდებარა სახალხო კომისართა საბჭოს (თავ-რე გუკ ბერი-ძე). მას ევალებოდა ყოველგვარი (თუნდაც ცალკეულ მეცნიერ-თა მიერ შედგენილი) ტერმინოლოგიის განხილვა და გამოსაცე-მად მომზადება.

კომიტეტი ქართული სალიტერატურო ენის უნიფიკაციის საქმესაც ნაყოფიერად ემსახურებოდა. ამიტომ მას მოიხსენიებენ აგრეთვე, როგორც „ენისა და ტერმინოლოგიის კომისიას“.

1926 წელს კი საქართველოს ცენტრალურმა ორმასრულე-ბელმა კომიტეტმა (ცაკმა) შექმნა „მთავარი სატერმინოლო-გიო კომიტეტი“ (თავმჯდომარე ფ. მახარაძე), საღაც მოხდებო-და „ცენტრალური სამეცნიერო კომისიის“ მიერ შემუშავებული მასალის საბოლოოდ დადასტურება ცხოვრებაში გასატარებლად. ასე რომ, საღავო საკითხების მოგვარება, სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის ზრუნვა ჭერ სახელმწიფო სამეცნიერო სა-ბჭოს ეყისრებოდა (1921 წლიდან), შემდეგ (ე. ი. 1925 წლიდან) — ცენტრალურ სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომისიის, 1926 წლიდან კი — მთავარ სატერმინოლოგიო კომიტეტს.

მთავარი სატერმინოლოგიო კომიტეტი ყურადღებას უთ-მობდა ენის კულტურის საკითხებსაც, როგორიცაა ენაში უხვად შემოსული ნახესები და ხელოვნური ლექსიკის მოწერიება, გა-ზეთისა და თარგმანების ენის დახვეწია, ენის სიწმინდის დაცვა, სალიტერატურო ენის ნორმათა შემუშავება და სხვ.

„ცაკთან“ ასეთი ორგანოს დაარსება იყო ჩუსეთში მიმდი-ნარე პროცესების გამოძახილი, ხაზგასმა ჩესპუბლიკის ხელმძღვანელობის „ზრუნვისათვის“.

1926 წლის ოქტომბერში „ქართულ საენაომეცნიერო საზო-გადოებასა“ და უნივერსიტეტის სათანადო კათედრას სატერმი-ნოლოგიო კომიტეტის სხდომის დადგენილებით დაევალათ დაეჩ-ქარებინათ მასალების მომზადება სალიტერატურო ენის ნორმე-ბის დასაღვენად (ამავე შინაარსის მუხლი მეორდება კომიტეტის 1929 წლის დადგენილებაშიც).

ინტერესი სალიტერატურო ენის საკითხებისადმი დღითი

დღე ცხოველდებოდა: მათ მოგვარებაზე მსჯელობენ ენის სპეციალისტები, მწერლები, უურნალისტები, პედაგოგები...

1926 წელს მწერალთა ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ბავლე ინგოროვგამ აღნიშნა, რომ: 1) ქართულ მხატვრულ სიტყვასთან დაკავშირებული პრობლემები ჯერ შეუსწავლელია. საჭიროა დაარსდეს ქართული სიტყვის ინსტიტუტი. საქმის გასაძლოლად მწერალთა კავშირს სათანადო ძალები მოეპოვება; 2) ამ ინსტიტუტმა უნდა იზრუნოს სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის. სალიტერატურო ენის ნორმები ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, გამოცემებსა და პრესაში ენა მახინჯდება; 3) აუცილებელია ქართული აკადემიური ლექსიკონის გამოცემა როგორც მწერლების, ასევე სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით!

ამ გამოსვლის საფუძველზე მწერალთა ყრილობას მიუღია რეზოლუცია:

1. ვინაიდან ქართული მხატვრული სიტყვის პრობლემები დაუშუშავებელი და შეუსწავლელია, მწერალთა კავშირთან დაარსდეს ქართული სიტყვის ინსტიტუტი, რომელსაც დავალება იზრუნოს აგრეთვე ქართული ენის გაწმენდისათვის და, კერძოდ, ყურადღება მიაქციოს ენის სისტემატურად დამახინჯდების ფაქტებს, რომლებიც გვხვდება ქართულ პრესასა და ქართულ გამოცემებში.

2. ამავე მიზნით საჭიროდ იქნეს მიჩნეული მწერალთა კავშირის წარმომადგენლის მიწვევა უმაღლეს სამეცნიერო საბჭოში.

3. ყრილობა საჭიროდ მიიჩნევს მწერალთა კავშირის ინიციატივით და უაწლოესი (უშუალო) მონაწილეობით შეიქმნას სპეციალური კოლეგია ქართული აკადემიური ლექსიკონის დასამუშავებლად და გამოსაცემად?

1928 წლის მარტში სრულიად საქართველოს მწერალთა II ყრილობაზე მკვეთრად წინ წამოწეული იყო ენის სიწმინდისათვის ბრძოლის საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ღონისძიებებს, სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვას, თარგმნილი ლიტერატურის ენას... საჭი-

<sup>1</sup> „ქართული მწერლობა“, ტფ., 1926, № 1, გვ. 9-14.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 101-106.

როდ იქნა მიჩნეული, ერთი მხრივ, სატერმინოლოგიო კომისიის შექმნა, მეორე მხრივ კი — მართლწერის კომისიისა (თბილისის უნივერსიტეტთან ერთად). მწერალთა ყრილობამ დაიგალა ქართველ მწერალთა ფედერაციის საბჭოს, რომ უნივერსიტეტთან შეთანხმებით მოწყო ქართული მართლწერის შემმუშავებელი კონფერენცია.

სპეციალისტები კი კვლავ დამოუკიდებლად მუშაობდნ... 1929 წ. უურნალ „ქართულ მწერლობაში“ (№3, გვ. 80-87; №4, გვ. 68-82) გამოქვეყნდა ხერგი გორგაძიხესული პრინციპები. ეს ნაშრომი ს. გორგაძეს თავის წინა ნაშრომთა ერთგვარ დასკვნად და კომპენდიუმად მიაჩინა (იხ. მისი: „ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან“, „მნათობი“, 1925, №1, №3; 1926, №№5-6; „ქართული მართლწერა“, ქუთაისი, 1916; „სალიტერატურო ქართულისათვის“, ტფ., 1921).

ივტორი სამართლიანად აცხადებს, რომ სალიტერატურო ენის სადაც ფორმათა მოწესრიგების საქმეში მთავარია არა კონკრეტული მაგალითების სიმრავლე, არამედ ის ძირითადი პრინციპები, რომელთაც უნდა ემყარებოდეს ფორმათა მოწესრიგება.

1932 წ. ქართული ენისა და ტერმინოლოგიის კომისიამ და სახელმწიფო გამომცემლობამ მოაწევეს კურსკონფერენცია ავტორთა, მთარგმნელთა და რედაქციების მუშაკთათვის. ლექციები წაიკითხეს: ა. შანიძემ, ს. ჭანაშვიამ, არნ. ჩიქობაგამ, ს. ყაუხებიშვილმა, ს. ორდანიშვილმა, გ. ახვლედიანმა, გ. თოფურიამ... ეს ლექციები 1932—1934 წლებში ათ ნაკვეთად გამოქვეყნდა საერთო სათაურით: „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის“. მომხსენებლები იხილავდნენ შემდეგ საკითხებს: უცხო სიტყვათა გაღმოცემა, კომპოზიტების დაწერილობა, სადაც საკითხები დროთა I და II გვეუფლებში (წავიდნენ თუ წაგიდენ?), ღროთა III გვეუფლები (გაუტენია თუ გაუტენია? გშობილიყავ თუ გშობილგიყავ?); -ებ-იან მრავლობითში ზმინის შეთანხმება რიცხვში (მოები მოჩანს თუ მთები მოჩანან?) და სხვ. ზოგი ავტორი (მაგ., არნ. ჩიქობაგა) შემდეგაც აქვეყნებს ასეთ ნაკვეთებს.

აღნიშნული ლექციები საფუძვლად დაედო ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა პირველ კრებულს (1936 წ.).

1932 წელს ქართული ენისა და ტერმინოლოგიის კომისიის

სსდომიაზე ხიმონ ჭანაშიამ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „რით უნდა ვიხელმძღვანელოთ მართლწერისა და სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისას“ (პირველად დაიბეჭდა მისი შრომების III ტომში, 1959 წ., გვ. 235-252). ეს მოხსენება მნიშვნელოვანი ეტაპი იყო თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოწესრიგების პროცესში.

1932 წელს გამოვიდა პირველი ნაკვეთი ვ. თოფურიას წიგნისა ქართული ენა<sup>1</sup>, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, პირველად ჩვენს სინამდვილეში, ლიტერატურული ენა (მაშინ ამ ტერმინსაც ხმარობდნენ „სალიტერატურო ენის“ მნიშვნელობით) დახასიათებულია როგორც ნორმირებული მეტყველება. როგორც ივ. გიგინეიშვილი შენიშნავს, ამ ნაშრომში „პირველად მიექცა სრულიად გარევეული პრინციპული ყურადღება ნორმას, როგორც სალიტერატურო ენის განმსაზღვრელს მისი განვითარების გარევეულ ეტაპზე, და ნორმის ურთიერთობას ენობრივ სისტემასთან“<sup>2</sup>.

ამ წიგნის 23-ე გვერდზე ვკითხულობთ: „...ლიტერატურული ენა ემყარება ტრადიციას... ყოველი ახალი ენობრივი მოვლენა ისინჯება მართლწერა-მეტყველების ოვალსაზრისით, უმორჩილებენ ე. წ. გრამატიკულ წესებს, აშორებენ სპეციფიკურ კუთხებს; ზოგჯერ ხდება ისიც, რომ ტოვებენ მას, რაც შეიძლება კუთხიში დიდი ხანია მოკვდა. აქედან ჩანს ენის კონსერვატიულობა“. აქ ლაკონიურად არის ჩამოყალიბებული სალიტერატურო ენის მართებულ ფორმათათვის სავალდებულო, განმსაზღვრელი ძირითადი მახასიათებლები: გრამატიკული გამართულობა, ტრადიციულობა, დახვეწილობა (დიალექტური ელემენტებისა-გან განთავისუფლება, თუმც ზოგჯერ შეინარჩუნებს ისეთ დიალექტურ ფორმას, რომელიც დიალექტში უკვე აღარ იხმარება, მკვდარია). ეს ენის კონსერვატიულობის დამადასტურებელია. ანალი ენობრივი ფაქტი (მოვლენა) ენაში დამკვიდრდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არღვევს ენის სისტემას — ემორჩილება ენაში არსებულ გრამატიკულ კანონებს, მართლწერა-მე-

<sup>1</sup> ვ. თოფურია, ქართული ენა, განაკვეთი I, ტუილისი, 1932, 29 გვ.

<sup>2</sup> ვ. გიგინე შეკვეთი, ვარლამ თოფურის ლვაწლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციის საქმეში, იქვ. XXII, 1980, გვ. 289.

ტყველების წესებს, ე. ი. თუ ნორმის შესაბამისია.

ასეთ ვითარებაში, როდესაც ნორმების შესამუშავებლად მსჯელობა და მუშაობა გაცხოველდა, განსხვავებული მოსაზრებაც გაჩნდა. მიხ. ჭავახიშვილმა ნააღრევად მიიჩნია კონფერენციის მოწვევა და ნორმატიული კანონების შემუშავება ენისათვის, რადგან, მისი აზრით, ენაში მიმღინარე პროცესები ქვეყანაში მიმღინარე მოვლენების ბუნებრივი შედეგია, — კომუნიკაციების გაფართოება, წიგნისა და გაზეთის ტირაჟის გაზრდა, განათლების ტალღის გაძლიერება და სხვ. ბუნებრივად იწვევს სალიტერატურო ენის უსწრაფეს განვითარებას... დედაქალაქში, რომელიც ქმნის საერთო ენასა და კულტურასაც, თავი მოიყარა ლიტერატურამ, პრესამ, მეცნიერებამ, ხელოვნებამ, სახელმწიფო აპარატმა, სულ ახლახან ყველა კუთხემაც... საჭიროა მოვიცადოთ, სანამ ჩვენს ქალაქში თავმოყრილი მრავალი კილო გადაიხარშება და ერთ ყალიბში გამოიჭედება: „უკანასკნელ წლებში უკვე ცხადად კლებულობს ანარქია, ე. ი. კლებულობს სადაო [ფაქტების] რიცხვი, დუღილი ნელდება და საერთო ქართულიც ყალიბდება... დღევანდელი ქართული დიდი სისწრაფით პოულობს საჭირო სტატიურობას და გარკვეულ ფორმებს, და როცა... ამა თუ იმ ფორმის ცხადი უპირატესობა და მკვიდრდება, კონფერენციამ მაშინ-და უნდა დაადასტუროს არსებული ფაქტი“, ისევე როგორც „უცხოელთა აკადემიები ამა თუ იმ სიტყვას ან ფორმას მაშინ დააკანონებენ ხოლმე ქაღალდზე, როცა ის მტკიცედ მოიკიდებს ფეხს სინამდვილეში... ათიოდე წელიწადში, შეიძლება უფრო აღრუც, სადაცოს უმეტესი ნაწილი თავისუთავად გადაწყდება და კონფერენციის მოწვევასაც მაშინდა ექნება აზრი და გამართლება<sup>1</sup>.

ქ. გამსახურდია არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას: ქართული ენა ასი წლის განმავლობაში სახელმწიფო ენათა სიიდან გამორიცხული იყო... სტიქიონურად იზრდებოდა... არც მომვლელი ჰყავდა, არც — ყალიბის მიმცემი... ნამდვილ ლიტერატურულ ქართულს ჩვენს თვალშინ ეყრება საძირკველი, ამიტომ ძლიერ საშურია ამ კონფერენციის მოწვევა,... დასკვნებს ხელისუფლება

<sup>1</sup> მიხ. ჭავახიშვილი, ახალი სალიტერატურო ქართლისათვის, რჩეული თხზულებაზი, VI, 1980, გვ. 131.

და ალგება ქართული ენის სისადავე და მშვენიერება. დღეს დიდი დუღილი და ზრდაა ქართულ ენაში. „ამ ენერგიულად წინ გაქანებულ ენის სტიქიის ყალიბი უნდა“<sup>1</sup>.

ცოტა ხნის შემდეგ (1932 წ.) ენისა და ტერმინლოგიის კომისიის სხდომაზე წაყითხულ მოხსენებაში („რით უნდა ვიხელ-მძღვანელოთ მართლწერისა და სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისას“) ს. ჯანაშია განმარტავს, რომ ეს წმინდა ქართული ამოცანაა, — არსად ასეთი ნორმები არ დაუღენიათ. ევროპული ენებისათვის ნორმების დადგენის საჭიროება არ არსებობს, იქ საქმარისია დაადასტურონ გაბატონებული ფორმები. ქართულში კი თანამედროვე სალიტერატურო ფორმათა გაბატონება სტიქიურად ხდება და გაბატონებული ფორმის ჩვენება ხშირად შეუძლებელიც კია, იმდენად არის დარღვეული ერთსახეობა. ამიტომ ამა თუ იმ ჩარლური მდგომარეობის დასადასტურებლად ძალზე აქტიურად ჩარჩვა გვიხდება.

რადგან თანამედროვე ქართულ ენაში გაბატონებული ფორმის ჩვენება არ ხერხდება, რაღაც სხვა პრინციპის უნდა დავეყრდნოთ; „ამ პრინციპს სალიტერატურო ენის ცნების ანალიზი და სალიტერატურო ქართულის ისტორია გამოამჟღავნებს“, — ასეთია ს. ჯანაშიას აზრი<sup>2</sup>.

1933 წლის 10 ივნისს თბილისის უნივერსიტეტში მაშინდელი რექტორის ლევან აღნიაშვილის დიდი ხელშეწყობით დაარსდა ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტი („ელხი“). ეს იყო საქართველოში პირველი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სახელმწიფო მასშტაბისა. მისი ორგანიზება მიენდო ცნობილ მეცნიერს, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანს სიმონ ხუნდაძეს, რომელიც „ელხის“ დირექტორადაც დაინიშნა, სწავლულ მდივნად კი — ვ. თოფურია. ს. ხუნდაძის მოულოდნელად გარდაცვალების შემდეგ დირექტორობა დაეკისრა პარტიულ მუშაქს, პუბლიცისტ აკაკი ჭუმინას (1898—1937). „ელხში“ თავდაპირველად ორი სექცია (ენისა და ლიტერატურისა) მუშაობდა. შექმნდათ საკუთარი ყოველწლიური ორგანო — „ლიტე-

<sup>1</sup> ქ. გამსახურდია, ქართული მართლწერის კონფერენციისათვის, რჩეული თხზულებაზი, გვ. 203.

<sup>2</sup> ს. ჯანაშია, რით უნდა ვიხელ-მძღვანელოთ მართლწერისა და სალიტერატურო ენის ნორმების ალგენისას, შრომები, ტ. III, 1959, გვ. 244.

რატურული მემკვიდრეობა“ (ფაქტობრივი რედაქტორი გ. ლეონიძე). გამოვიდა ერთადერთი ნომერი (1935 წ.).<sup>1</sup>

1934 წ. ჩეორგანიზაციის შედეგად „ლენინის“ ეწოდა „შოთა რუსთაველის სახელობის ენისა და ლიტერატურის (სამეცნიერო-კულტურული) ინსტიტუტი“. იქედან ენის განყოფილება 1936 წ. გადავიდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში ჩამოყალიბებულ ჰუმანიტარული პროფესიის ახალ სამეცნიერო-კულტურით ინსტიტუტში, რომელსაც ეწოდებოდა „ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი“ (ენიმკი), ლიტერატურის განყოფილებამ კი არსებობა განაგრძო დამოუკიდებელი ინსტიტუტის სახით 1942 წლის ავგისტომდე.

მიუხედავად იმისა, რომ სალიტერატურო ენის პრობლემებზე 20-იან წლებში საქმიანო აქტიურად მუშაობდა რამდენიმე სპეციალური კომისია („ცენტრალური სამეცნიერო სატერმინო-ლოგიო კომისია“, ცაკ-თან არსებული „მთავარი სატერმინო-ლოგიო კომიტეტი“, „ტექნიკური საზოგადოების სატერმინო სექცია“, აგრეთვე „ელჩის“ ენისა და ლიტერატურის სექცია), სალიტერატურო ენის სირთულეების მოვარეობა, მისი დახვეწა მაინც არ ხერხდებოდა.

1930-იანი წლებისათვის უკვე შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი, რომ ქართული სალიტერატურო ენის უნიფიკაციისათვის, მისი მონილითურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ნორმათა შემუშავება. ხელისუფლებამაც გაამახვილა ყურადღება ამ პრობლემაზე და 1933 წ. 4 სექტემბერს სახალხო კომისართა საბჭომ და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღეს საგანგებო დადგვინდება „სალიტერატურო ენის ნორმების დადგენის წესის შესახებ“, რომლის მიხედვითაც სალიტერატურო ენის ნორმათა შემუშავება ასე უნდა წარმართულიყო: „ელჩში“ სადაც საკითხთა დოკუმენტურად შესწავლის შემდეგ ეს საკითხები განიხილებოდა და სავალდებულო ნორმები დაწესდებოდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოში, სადაც ამისათვის შეიქმნებოდა სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლო-

<sup>1</sup> ალ. ბარამიძე, „ჩვენი ცხოვრების ლამპარი“, გაზ. „კომუნისტი“, 1988, 13.XI.

ბით: ა) სახელმწიფო საბჭოს სათანადო სექტიის წევრები; ბ) ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომისიის პრეზიდიუმი და ამავე კომისიის ენათმეცნიერი წევრები; გ) მწერალთა კავშირის ორი წარმომადგენელი; დ) თითო წარმომადგენელი სახელმწიფო უნივერსიტეტისა, დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისა, სახელგამისა და გაზ. „კომუნისტისა“.

ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომისიის მიერ შემუშავებული მასალაც უნდა განხილულიყო „ელხის“ ენის სექციაში და დასამტკიცებლად წარდგენოდა სამეცნიერო საბჭოს.

სამეცნიერო საბჭოს უნდა შეემუშავებინა საკითხთა განხილვის კალენდარული გეგმა იმ ვარაუდით, რომ 1934 წლის 1 იანვრისათვის დამთავრებულიყო ძირითადი საკითხების განხილვა-დამტკიცება. შემუშავებული მასალა საბოლოოდ დასამტკიცებლად წარდგენებოდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

1933 წ. 17.XI-ს გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ა. ჭყონიას მიერ ხელმოწერილი მასალა სათაურით — „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისათვის“, სადაც ჩამოთვლილია თითქმის ყველა მოსაგვარებელი საკითხი, მაგ.: ბალის თუ ბლის, ბელურათი თუ ბელურით, ოჩთავენი თუ ოჩთავე, სდგას თუ დგას, მწყურია თუ მწყურიან, უნახავს თუ უნახია, შეუხვამს თუ შეუხვავს, ფრინავს თუ ფრენს, ნამოსახლევი თუ ნამოსახლები, ბევრი (მრავალი, უველა, ზოგი...), მერცხალი თუ მერცხლები; სახლები აშენდა თუ აშენდნენ და სხვა მრავალი.

ასეთი იყო ის კონკრეტული საკითხები, რომლებიც უნდა განეხილა და მოეგვარებინა სამეცნიერო საბჭოს.

1934 წლის 5 მაისს მწერალთა სასახლეში გაიმართა დისკუსია სალიტერატურო ენის საკითხებზე. წამოიკრა ბევრი საკითხი. მწერალთა ერთმა ჯგუფმა (კ. ნადირაძე, ს. კლდიაშვილი, პ. იაშვილი, ბუაჩიძე) ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ენა არ არის მხოლოდ გრამატიკული კატეგორია და ამიტომ ენის დასახვეწად სულაც არ კმარა გრამატიკული შეცდომების გასწორება და სწორი ნორმის დადგენა, აუცილებელია სტილის, ფონეტიკური მხარის, მხატვრული სახეებისა და სხვა საკითხების შესახებ მსჯელობაც... მინ. ჯავახიშვილმა საყრდენი დიალექტის საკითხი დააყენა.

საყურადღებო სიტყვა წარმოთქვა ს. ჯანაშიაშ — „ქართული ლიტერატურული ენის საკითხები“ (პირველად გამოქვეყნდა მისი შრომების III ტომში, 1959 წ.). იგი შექმო ორთოგრაფის, ლიალექტების, კლასიკოსთა ენის, უცხო ენათა გავლენისა და სხვა საკითხებს.

ს. ჯანაშიას ამ ორ გამოსვლაში (1932 წ. და 1934 წ.) ბევრ სხვა დიდად საყურადღებო დებულებასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მის მიერ მიგნებული საყრდენი, ამოსავალი სალიტერატურო ენის პრინციპთა შესამუშავებლად. ეს საყრდენი სალიტერატურო ენის ცნების ანალიზია და სალიტერატურო ენის ისტორიაში შეიძლება გამომულავნდეს.

შემდეგ არნ. ჩიქობავაშ კილევ უფრო დააზუსტა, გააღრმავა ეს დებულება და სალიტერატურო ენის ნორმათა პრინციპების შემუშავებისათვის ძირითად საყრდენად საერთოდ ენის ცნების ანალიზი გამოაცხადა.

\* \* \*

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ უკვე შემზადდა ნიადაგი ნორმათა კომისიის შესაქმნელია. 1934 წელს განათლების სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი რესპუბლიკური კომისია ოცდაათი კაცის შემადგენლობით:

მ. ტოროშელიძე (თავმჯდომარე), ა. თათარაშვილი (მოადგილე), ვ. თოფურია (მდივანი), წევრები: გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე, კ. გამსახურდია, ერმ. გორდელაძე, ი. გრიშაშვილი, შ. დაღიანი, დ. დემეტრაძე, ვ. დონდუა, ა. ლულუჩივა, ვ. ეგნატაშვილი, გ. ლეონიძე, ბ. ინგოროვა, ს. იორდანიშვილი, ქ. კეკელიძე, ვ. კოტეტიშვილი, ჭრ. ჩავჭვლიშვილი, მ. საყვარელიძე, გ. ქიქოძე, ს. ყაუხჩიშვილი, ა. შანიძე, ალ. შანშიაშვილი, არნ. ჩიქობავა, კ. კიშინაძე, ა. ჭუმბაძე, მ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია.

ცოტა მოვაინებით კომისიის ფუნქციებს ასე განმარტავენ: კომისიის დანიშნულებაა: ხელმძღვანელობა გაუწიოს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესს იმ მხრივ, რომ იგი „სრულად იყენებდეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ საგანძურას, იყოს მაქსიმალურად მონოლითური, ჟეშმარიტად ხალხური და ჯეროვნად მოემსახუროს ქართველ